*შეთანხმება №36/304*

*ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „მშენებელი 2016“-ს შორის*
*სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 5 დეკემბერს გაფორმებულ №304 ხელშეკრულებაში*
*ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე*

*ქ. ზუგდიდი* *11 აპრილი, 2019 წელი*

ერთი მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია*** (შემდგომში _ შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, მერის მოვალეობის შემსრულებლის მაიზერ ნანავას სახით და მეორე მხრივ, ***შპს „მშენებელი 2016“*** (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ მიმწოდებელი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ლაშა ბოხუას სახით, მხარეთა შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 5 დეკემბერს გაფორმებულ №304 ხელშეკრულების (შემდგომში _ ხელშეკრულება) მე-17 მუხლისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 10 აპრილის №2473-02 მომართვის გათვალისწინებით ვთანხმდებით შემდეგზე:

*აღწერილობითი ნაწილი:*

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 10 აპრილის №2472-02 წერილობითი მომართვის თანახმად, სამუშაოები მიმდინარეობს ვადაგადაცილებით და მიმწოდებელს ეკისრება საჯარიმო სანქცია, გამომდინარე აქედან საჭიროა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება.

*ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:*

1. განხორციელდეს ცვლილება ხელშეკრულების მე-18 მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

   **მუხლი 18. პუნქტი 1.** _ „ხელშეკრულება ძალაშია 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე“.

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი შემსყიდველთან, ხოლო ერთი პირი მიმწოდებელთან).
4. დოკუმენტი მხარეთა მიერ დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

| *შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი* | *მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი* |
|---|---|
| *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მერის მოვალეობის შემსრულებელი:* | *შპს „მშენებელი 2016“ -ის დირექტორი:* |
| ..... /მ. ნანავა/ | ..... /ლ. ბოხუა/ |

zugdidi municipality city hall

Digitally signed by zugdidi municipality city hall
DN: cn=zugdidi municipality city hall, 2.5.4.97=NTRGE-220418956, o=....., c=GE
Date: 2019.04.12 16:37:51 +04'00'

N 2473-02 10/04/2019

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ მაიზერ ნანავას

ბატონო მაიზერ,

როგორც მოგეხსენებათ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მშენებელი 2016“ - ს შორის 2018 წლის 05 დეკემბერს გაფორმებული N304 ხელშეკრულება ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში თამარ მეფის, ზვიად გამსახურდიას და კოსტავას ქუჩებზე სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოებს. რადგან სამუშაოები მიმდინარეობს ვადაგადაცილებით და მიმწოდებელს ეკისრება საჯარიმო სანქცია, აუცილებელი გახდა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს 05.12.2018 წლის N304 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით განახორციელოს სათანადო ღონისძიებები.

პატივისცემით,

ლეონტი ფაჟავა

ლ. ფაჟავა

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მ.შ.
ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური